№ 17

27 აპრილი

ივერია

1909 წ.

ფასი ერთი შაური

სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი გამოდის ორშაბათობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინემო-თეატრი
ძმ. რიჩჩი და ამხ.
მიხეილის პრ. № 91.

გრანდიოზული
არაჩვეულებრივი
სანახაობა

საუკეთესო და ჩვეულებრივი სურათების გარდა აჩვენებენ ერთათ ერთ ფენომენს ქვეყანაზე
ცოცხალი
ქალი-დათვი

მეოცე საუკუნის არაჩვეულებრივი სანახაობა
გასაოცარი ფორმა
ადამიანისა

ყველგან დიდი სენსაცია და ძლიერი შთაბეჭდილება
იჩქარეთ
ნახოთ

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Гановская ул. д. № 6. К. П. **Туманову.**

გაზეთი **„ივერია“** გამოდის ორშაბათობით, ცალკე № ღირს ყველგან ერთი შაური. ნომერში მოთავსებული იქნება კვირა დღის ამბები და დეპეშები, რომელიც სხვა გაზეთებში სამშაბათობით გამოდის.

წლის ფასი 3 მან.

სარედაქციო ნაწილის გამგე კ. პ. **თუმანიშვილი.**

3 მაისს **მუშტაიდის** ბაღში გაიმართება

დიდი სახალხო სეირნობა და ლატარეი

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოთ.

„საზოგადოების გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვინც კი თანაუგრძნობს სახალხო განათლების საქმეს, კეთილ ინებონ და გამოგზავნონ შემოწირულება ფულით თუ ნივთით გამგეობის კანცელიარიაში (სასახლის ქუჩა, თ.-აზნაურობის ქარვასლა) ან სეირნობის გამგის ელისაბედ ალექსანდრეს ასულის ყაზბეგის ბინაზე (ოლგას ქ. № 4).

გამგეობა სთხოვს შემომწირველთ შემოწირულების გადაცემის დროს მიიღონ ბარათი იმისგან, ვისაც გადასცემენ ნივთს თუ ფულს.

პროგრამაზე ზედმეტი.

პროგრამაზე ზედმეტი

თეატრი მულენ ელექტრიკი

მიხეილის პროსპ. საიუნკრო სასწავლებლის პირდაპირ.

დღეს პირველი გამოსვლაა **სტვენართა მეფის** შეუდარებელ **კომიკ აგიტატორის** და მოცეკვავესი.

ნეგრის ზ. ალფრედისა

ზ. ალფრედისი გამოვა ოთხ განყოფილებაში და საზოგადოებას დიდათ ასიამოვნებს (ყველგან კოლოსალური წარმატებით).

ადგილების ფასი ჩვეულებრივია ✦ **დასაწყისი დღის 5 ს.** ◇ კასა ღიაა დღ. 4 ს.

ხვალ სურათები გამოიცვლება. ხვალ მეორე დებიუტია ნეგრის ალფრედისა. **დირექცია.**

პროგრამაზე ზედმეტი

პროგრამაზე ზედმეტი.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნ. წინამძღოლის თანამდ. აღმასრ.

ამით აცხადებს, რომ ტფილისის გუბერნიის მორიგი კრება მოხდება 24 ამა მაისს ქ. ტფილისში.

ქუთაისის სასოფლო სამეურნეო ამხ.

კოლხიდა

დაიწყეს წაღება სხვა და სხვა **დამყნილ ვაზისა**

საჭირო ცნობების და პრეისკურანტების მიღება შეიძლება გამ. **გ. მ. ჩივაძისაგან.**

0—2

კახეთი მეღვინეთა ამხანაგობა

საერო

ამხანაგობის წევრთა ვენახების ღვინო ბოთლი 25 კაპ. და მეტიც.

მუდმივ მუშტრებს ღვინო დაკლებულ ფასებში ეძლევათ

მაღაზია იმყოფება ერევნის მოედანზე, თამამშევის ქარვასლაში

ტელეფონის № 720. 0—2

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის

ზედამხედველი კომიტეტი

აუწყებს ამ ბანკის რწმუნებულთ, რომ, წესდების მე-90 პარაგრაფის თანახმად, 23 მომავალ მაისს დილის 11 საათისთვის, ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზე, დანიშნულია წლიური კრება რწმუნებულებისა.

განსახილველი საგნები:

1. 1908 საოპერაციო წლის ანგარიში ბანკის მოქმედებისა და მოხსენება ამის გამო.
2. ბანკის ხარჯთ-აღრიცხვა 1909 წლისათვის.
3. პროექტი ინსტრუქციისა ბანკზე დარჩენილ მამულების მართვა-გამგეობისათვის.
4. მოხსენება ზედამხედველ კომიტეტისა კომიტეტის მოქმედების შესახებ 1908 წ.
5. არჩევანი ზედამხედველ კომიტეტის რვა წევრისა, ნაცვლად გ. დ. გაბაშვილისა, რომელიც უკვე გავიდა, თავ. კ. ნ. აფხაზისა, თავ. ს. რ. ვახვახიშვილისა, უგან. თავ. პ. ა. გრუზინსკისა, თავ. გ. ნ. დიასამიძისა, თავ. გ. გ. მაღალოშვილისა, ნ. ზ. ცხვედაძისა და თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილისა, რომელთაც სამსახურის ვადა უთავდებათ; არჩევანი დამფასებელ კომისიის სამის წევრისა, ნაცვლად თავ. კ. ზ. მაყაშვილისა, ი. პ. მგალობლიშვილისა და ლ. ა. ფურცელაძისა, რომელთაც სამსახურის ვადა უთავდებათ, და სამის მათი კანდიდატისა.

რწმუნებულთა კრება შესდგება, რამდენი რწმუნებულიც უნდა დაესწროს.

ღვინოები „მელაანი“
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილისა და კამპ.

მაღაზია მიხეილის პროსპექტ. № 5

კანტორა და საწყობი ოლგინსკაია № 3

ტელეფონი № 493

კაფე პარიზი

ტფ. თავად-აზნაურობის თეატრის ეზოში
(Дворцовая ул.)

ჩაი, რძე, ყავა, შოკოლადი, კაკაო
პიროჟოკები, ბუტერბროტები (15 კაპ. და მეტიც)

ხაჭაპური

ცივი და ცხელი კერძები 25 კ. და მეტი

სასმელი წყლები

ლუდი, სადილი

ფასები ხელმისაწვდომია

სისუფთავე და კარგი სამსახური



კახეთის ნამდვილი
ღვინო

ტფილისი, ტელეფონი № 31

განყოფილება ბაქოში

„ძმობა“

0—1

Д. З. САРАДЖЕВЪ
ТИФЛИСЪ.
КАВКАЗСКІЙ
НАТУРАЛЬНЫЙ
КОНЬЯКЪ

ჟურნალ-გაზეთების და წიგნების
გამომცემელთა საყურადღებოთ

უმუშავრათ დარჩენილი

ასოთ-ამწყობი

ამხანაგებთან ერთად იღებს საქმეებს **ასაწყობათ**

როგორც ქართულს ისე რუსულს

ხელმისაწვდენ ფასებში

ადრესი: მადათოვის კუნძული, სტამბა „[illegible]“ [illegible] **პლატონი**

კისრულობს სოფლის და ქალაქის მამულების

დაგირავებას და გადაგირავებას

ადრესი: г. Тифлисъ ул. Бѣлинскаго, бывш. Кирпичная д. № 19. кв. кн. Херхеулидзе.

ნახვა შეიძლება ყოველ დღე, დილის 8½—10 საათამდის—საღამოობით 5—7 საათამდის. შეიძლება წერილობითაც.

ტფილისი, 27 აპრილი

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ქართველებს სოციალისტობა იმდენ სარგებლობას ვერ მოუტანს, როგორც ეროვნული მიმართულება...

სოციალისტობა ერთ რომელსამე პატარა ქვეყანაში ვერას გზით ვერ განხორციელდება, მთელ ევროპაში თუ არ შემოვიდა შესაფერი ცვლილება. პირიქით, სხვაგან, ყველგან სოციალისტობა თუ დამყარდა, ჩვენ ძალიან წინააღმდეგნიც რომ ვიყოთ, მაინც იძულებული ვიქნებით იგი მივიღოთ.

ამიტომ დიდი შეცდომა გვგონია, როდესაც ჩვენებური სოციალისტები ხალხს სოციალიზმისთვის ბრძოლას ურჩევენ და მის წინ რაღაც ბავშურის ჯინიანობით სოციალიზმის წითელ დროშას აფრიალებენ. ჩვენ, ქართველები, ეკონომიურად რუსეთის ბაზარზე ვართ დამოკიდებული, რუსეთი კიდევ ევროპის ბაზარზე და ამიტომ ვერც ჩვენში და ვერც დანარჩენ რუსეთში სოციალიზმის განხორციელებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება, სანამ ევროპა მტკიცედ იცავს კაპიტალიზმის პრინციპს და სანამ იქ, ევროპაში, სოციალისტები მხოლოდ სხვის მოკრიტიკეთა როლს ასრულებენ და სოციალიზმის პრაქტიკულ განხორციელებაზე კი, ჯერ-ჯერობით ოცნებასაც კი ვერ ახერხებენ...

ამნაირად სოციალიზმი ყველგან განსახორციელებელი თუ არ არის, ჩვენ მას ვერას გზით ვერ განვახორციელებთ...

რისი ასრულებაც ჩვენ ხელთ არ არის, ღირს, განა, იმაზე თავის მტვრევა და მეცადინეობა, იმის გულისთვის ხალხის ახლანდელ საჭიროებათა დავიწყება და ჩვენში ათასნაირ უბედურების დატრიალება?.. მით უფრო მაშინ, როდესაც ათასი სხვა საქმე გვაქვს გასაკეთებელი, როდესაც გასაჭირი კარზე გვადგია და ეროვნულ დაბეჩავებასთან ერთად პოლიტიკურ უფლებების შევიწროვებას განვიცდით?

ვერავინ, ვერც ერთი ჩვენებური სოციალისტი—იდეოლოგი ვერ უარჰყოფს იმას, რომ დღეს ჩვენ, ქართველები, ეროვნულად დაჩაგრულნი ვართ. ჩვენი ენა ისეთ პირობებშია ჩაყენებული, რომ მას აუცილებლად მოსპობა მოელის, თუ ჩვენ თვითონ არ ვეცადეთ მის გაძლიერებას. სხვა და სხვა ადგილობრივ სახელმწიფო დაწესებულებაში სახელმწიფო ენასთან ერთად ადგილობრივ ენას, ქართულ ენას ადგილი არა აქვს,—ამიტომ ყველა აქაურ სახელმწიფო დაწესებულებაში შუაგულ რუსეთიდან გადმოხვეწილი გაუთლელ-გაუნათლებელი რუსი მუჟიკი უფრო შინაურად გრძნობს თავის თავს, თავის დედაენაზედ უფრო ახერხებს საქმის მოწყობას, ვიდრე ადგილობრივი გლეხი, რომელსაც სახელმწიფო დაწესებულებაში შესასვლელად რუსულ ენის ცოდნა მოეთხოვება... ესეც არ კმარა,—ჩვენ, ქართველებს, იმ მცირეოდენ თავისუფლებასაც არ გვარგებენ, რომელიც რუსებს, შუა გულ რუსეთში, ერობის სახით აქვთ მინიჭებული. ქართველობას არ იკარებენ და ამით ცდილობენ ქართველების გავლენა სახელმწიფო საქმეების მართვასა და გამგეობაში შეამცირონ და მოსპონ. ის ერთი ტკაველა მიწა, რომელიც ქართველებს გვიჭირავს, უნდათ ჩამოგვართვან და შიგ შუაგულ რუსეთიდან იქაური გლეხობა გადმოასახლონ,—უნდათ პოლიტიკური და ეროვნული თავისუფლება კი არა, ლუკმა პურიც მოგვისპონ აქ, საქართველოში, უნდათ დედამიწის ზურგიდან აღიგავოს ქართველის სახელი,—ჩვენს ტანჯვა-ვაებას არაფრად აგდებენ, ჩვენი უბედურება არ ენაღვლებათ...

საშიში და გულსაკლავი ის არის, რომ საფიქრებელიც არაა, რუსეთში წეს-წყობილების გამოცვლას თან მოჰყვეს ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესებაც. ოქტომბრისტებისაგან თუ შესდგა მთავრობა, ისევე მოინდომებენ ისინი ჩვენში ერთ ეროვნების გაბატონებას, როგორც პურიშკევიჩ-მარკოვი, ამ ბატონობაზე კადეტებიც უარს არ იტყვიან, ეს ბატონობა არც კადეტებზე უფრო მარცხნივ მყოფ ჯგუფებს ეწყინებათ. ჩვენს დროში იშვიათია ისეთი ადამიანი, რომელიც თავის კერძო სარგებლობას ივიწყებდეს, ასეთი ადამიანი სოციალისტებშიც ძნელად მოიპოვება და როგორ უნდა ვიფიქროთ, რომ რუსი სოციალისტი ადვილად და თავის ნებით აიღებს ხელს იმ უპირატესობაზე, რომელსაც მას ანიჭებს ჩვენი და ჩვენისთანა ერების ეროვნული შევიწროვება?

სოციალიზმის ჩარჩოში ისეთივე ადვილია ეროვნული დაჩაგვრა, როგორც კაპიტალიზმის ჩარჩოში,—ავსტრალიის და ამერიკის სოციალისტები ისევე მედგრად ებრძვიან სხვა, უფრო სუსტ ერებს, როგორც რუსეთში პურიშკევიჩ-მარკოვი და ამიტომ ჩვენებურ სოციალისტ—მეთაურების დიდ დანაშაულად მიგვიჩნია. როდესაც ამბობენ, სოციალიზმის განხორციელებით თავის თავად მოისპობაო ყოველივე უსამართლობა და დაჩაგვრა,

როდესაც ხალხს არწმუნებენ, ეროვნულ ბრძოლით თავს ნუ იწუხებთ, იბრძოლეთ მხოლოდ სოციალიზმისთვის,—მის განხორციელებით ბედნიერებას მოიპოვებთო.

ამნაირად ხალხს აბრძოლებენ იმისთვის, რის განხორციელებაც ჩვენ ხელთ არ არის, აბრძოლებენ იმისთვის, რასაც ეროვნულ დაჩაგვრის მოსპობა არ შეუძლია, ეროვნულ დაჩაგვრის მოსასპობად კი ბრძოლას არ ანებებენ...

ეს ბრძოლა საჭირო არის,—თავის თავად არ მოეწყობა ეროვნული თანასწორობა, თავის ნებით არავინ არ აიღებს ხელს იმ ბატონობაზე, რომელსაც მას ჩვენი ეროვნული დაჩაგვრა ანიჭებს. შეიძლება ევროპაში ხალხი სრულ ბედნიერებას ეღირსოს, ჩვენში ამითი ხალხი ბედნიერებას ვერ ნახავს, შეიძლება რუსობა რუსეთში ძალიან კმაყოფილი იყოს იმ უპირატესობით, რომელსაც მას ცენტრალისტობა ანიჭებს, რუსების ასეთი კმაყოფილება ჩვენს კმაყოფილებას ვერ შეიქმს, შეიძლება სომხებმა თავიანთი საქმე თავიანთ ეროვნულ იდეალების შესაფერისად მოაწყონ, ჩვენ ამითი ბევრი არაფერი არ შეგვემატება, პოლონელებმა თვით გამორკვევის სრული უფლება რომ მიიღონ და თავიანთი ცხოვრება საკუთარ ნებაზე საუკეთესოდ რომ მოაწყონ, ამითი ჩვენ, ქართველები, განა თავს დავაღწევთ იმ უბედურებას, რომელსაც ახლა განვიცდით?..

ჩვენ თვითონ უნდა ვეცადოთ ადგილობრივ საქმეების მოწყობას. ისინი, ვისაც ხალხის კეთილ-დღეობა აწუხებს, ვალდებული არიან ამ კეთილდღეობისთვის ზრუნვას არ შეუშინდენ...

რაში უნდა გამოიხატებოდეს ეს ზრუნვა? ქართველ ერს თვალწინ მუდამ უნდა ედგას გზის მანათობელივით იდეალი: ქართველი ერი პოლიტიკურ უფლებებით სხვა ერებზე ნაკლები არ უნდა იყოს, —სხვებს თუ აქვს უფლება თავისი ადგილობრივი საქმეები თვითონ განაგოს, ეს უფლება ქართველებსაც უნდა ჰქონდეს მინიჭებული, სხვები სწავლას თავიანთ დედაენაზე თუ იღებენ, ქართველებშიაც სწავლა-განათლების საქმე ეროვნულ ნიადაგზე უნდა მოეწყოს, სხვებს თუ აქვს თავისუფალი ეკლესია, ასეთი ეკლესია ჩვენც გვინდა, ჩვენც გვინდა ეროვნული დაბალი, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები, ჩვენც გვინდა ნაფიცი მსაჯულები, ჩვენც გვინდა სახელმწიფო დაწესებულებებში ქართული ენა, ჩვენც გვინდა აქ, საქართველოში, ჩვენი თავი თავისუფლად ვიგრძნოთ ისე, როგორც რუსობას შეუძლია თავისუფლების ნატვრა შუაგულ რუსეთში...

ჩვენც გვინდა... მაგრამ ნამდვილად გვინდა კი ყველას? უნდათ კი იმ სოციალისტებს, რომლებიც წითელ დროშას აფრიალებენ და ყველა ქვეყნის პროლეტარების ხსენებით აპირებენ საქმის მოწყობას? უნდას კი იმათ, ვინც სოციალისტობით აბრმავებს ხალხს და ამით ეროვნულ იდეალების მიმზიდველობას ასუსტებს? ვინც არ ცდილობს ერთ სულად და ერთ ხორცად აქციოს ქართველი ერი, შეაკავშიროს ამ ერის ყველა ნაწილი, უძლეველი ეროვნული სული ჩაბეროს მას და ამით მისი გამარჯვებაც უეჭველად ჰყოს?

ჩვენც გვინდა... ამ სურვილზეა დამოკიდებული გამარჯვება. ეს სურვილი სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლას გვიბრძანებს,—ეს სურვილი თუ არ სჩანს, მოქმედებაც არ შეიძლება. ეს სურვილია საჭირო, ამ სურვილის გაღვიძებაა საჭირო, ამ სურვილის გაღვიძებას უნდა ეცადოს ყველა, ვისაც ეროვნულ თანასწორობის მოპოვება სწადია.

როგორც სიმდიდრეს ვერ შეიძენს და ვერც შეირჩენს ის ადამიანი, რომელსაც გამდიდრების სურვილი არა აქვს, ისე ეროვნულ თავისუფლების მოპოვება და შერჩენა არ შეუძლია იმ ერს, რომელსაც ამ თავისუფლების სურვილი აკლია.

ამიტომ ეროვნულ საკითხში თანასწორობის სურვილის გაღვიძება ქართველის გულში სავალდებულოა იმათთვის, ვისაც სურთ, ქართველმა ერმა ეროვნული თანასწორობა მიიღოს.

ამ სურვილის გაღვიძებას ბევრი შრომა, დიდი მეცადინეობა სჭირდება. უკიდურესთაგან ქართველებში განელებულია ეროვნული გრძნობა, სოციალიზმის პროპაგანდამ ხალხს დროებით დაავიწყა მისი ეროვნული შევიწროვება,—ეს შევიწროვება მაინც არსებობს—მის მოსასპობად სოციალისტურ შეცდომების დავიწყებაა საჭირო. ეს შეცდომები შეცდომებად უნდა აღიაროს ხალხმა, თვალი უნდა აიხილოს მან, თავისი დაბეჩავება დაინახოს და ამ დაბეჩავების თავიდან ასაშორებლად იმ გზას უნდა დაადგეს, რომელიც ამ მიზნის შესაფერია.

ხალხი ეროვნულ მიმართულებას უნდა დაადგეს...

ქართველური საქმიანობა

ვჩივით, რომ სახელმწიფოში პოლიტიკური უფლებები არა გვაქვს, ვჩივით, რომ მეზობლები გვჯობნიან, გულს ვიკლავთ იმაზე, რომ ყველაფრითა ვართ ჩამორჩენილი და გვავიწყდება, რომ ამის მიზეზი ჩვენვე ვართ,—ჩვენი ბრალია, თუ სახელმწიფოში გაბატონებული ეროვნება ჩვენს უმოქმედობით სარგებლობს და ჩვენში გაბატონებას ახერხებს, ჩვენი ბრალია, თუ მეზობლები ჩვენზედ მეტ საქმიანობას იჩენენ, ქონებრივად გაღონიერებას ახერხებენ და ამით მეტ საზოგადოებრივ გავლენას იძინენ, ჩვენივე უმოქმედობის ბრალია, თუ ფეხის ერთ გადადგმასაც ვეღარ ვახერხებთ მოფიქრებულად, აქეთ-იქით ვეცემით უაზროთ, ბედს ვემდურით, უბედობის თავიდან აცილებას არ ვცდილობთ...

ეს უმოქმედობა გვკლავს და ამ უმოქმედობასთან ბრძოლაა საჭირო. ეს უმოქმედობა ქართველების საერთო სენია, იგი ყველგან იჩენს თავს და აბრკოლებს ჩვენში დაწყებულ ყოველ საქმის განვითარებას.

აიღეთ რომელიც გნებავთ ჩვენებური საზოგადო დაწესებულება, დაუკვირდით ქართველების სავაჭრო ან საქველმოქმედო საქმეებს, ყველგან ერთი და იგივე სენი კლავს ქართველების კეთილდღეობას,—უმოქმედობა!

ამ სენისაგან ისინიც არ არიან თავისუფალი, ვისაც ბედმა თუ გარემოებამ სიმდიდრე და ქონებრივი კეთილდღეობა არგუნა. ჩვენი ზუბალაშვილები ნავთის საქმით გამდიდრდენ, მაგრამ აბა თავი თუ შეიწუხეს და ამ საქმეს გარდა კიდევ სხვა რომელიმე საქმესაც მოეკიდენ. ჩვენი სარაჯიშვილი ერთ საქმეს ადგია. ჩვენი ღოღობერიძე ერთი საქმით ცხოვრობდა. აბა სომხები თუ იკმარებენ ერთ საქმეს, მრეწველობის ან ვაჭრობის ერთ რომელსამე დარგში გამდიდრებული, ისინი ათას სხვა საქმესაც ეტანებიან, შრომობენ, რადგანაც ქონებრივი უზრუნველყოფა შრომას უადვილებს და დღიურ ლუკმა პურზე ფიქრით მათ გონებას არ სწამლავს. თვითონ ახალ საქმეებს რომ იწყებენ, ისინი სხვებსაც უჩენენ ამითი საქმეს,—ხელს უწყობენ ხალხის გამდიდრებას, შეძლებისადაგვარად თავიანთ მხრივ უზრუნველყოფენ ხალხის ეროვნულ არსებობასაც. ხალხისგან აღებული სიმდიდრე ამ სახით ისევ ხალხს უბრუნდება, ჩაიდება ეკონომიური ცხოვრება, ხალხის სიმდიდრე მატულობს და იზრდება... შეძლებულების სიმდიდრე ხალხისთვისაც სასარგებლოდ რჩება...

უმოქმედობა აქაც ქართველების დამღუპველი გამოდგა. ის ფული, რომელსაც ჩვენი შეძლებულები ხარჯავენ ჩვენში ქველმოქმედების სახით, რასაკვირველია, სასარგებლოა, მაგრამ არა ნაკლებ სასარგებლო იქნებოდა ქართველებისთვის, ახალ-ახალი სავაჭრო და სამრეწველო საქმეები რომ დაეწყოთ ჩვენში იმათ, ვისაც ქონებრივი უზრუნველ-ყოფა ახალ საქმეების დაწყებას უადვილებს.

მართალია, უკანასკნელ წლების ამბები ვერაფერი გამახალისებელია ჩვენებურ შეძლებულთათვის, ეს ამბები უცხოელ კაპიტალისტებსაც აშინებს და ჩვენში რამე ახალ საქმის დაწყებას აბრკოლებს. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ეს ამბები წარმავალ სენათ მოედო ჩვენს ქვეყანას, ეს ამბები წინეთ არ ყოფილა და ალბად შემდეგშიაც აღარ იქნება. მუშების კაპიტალისტებზე გადაკიდება უცხოეთშიაც ხშირად უკიდურესობამდის მიდის, მაგრამ იქ, უცხოეთში, ეს გადაკიდება არასოდეს არ თავდება კაპიტალისტის მოკვლით და მიზნად არ ისახავს კაპიტალისტის ან მის საქმის დაღუპვას. იქ იციან, რომ საქმის დაღუპვით ხშირად მუშები თვითონაც იღუპებიან და ამიტომ იქ ერიდებიან საქმის დაღუპვას.

ჩვენში კი ხშირად გაგვიგონია,—ეს კაპიტალისტი თუ დაიღუპა, სხვა მოკიდებს ხელს ამავე საქმეს და მუშა ხალხს სამუშაო არ დააკლდებაო...

ამ მხრივ ჩვენებურ კაპიტალისტების უმოქმედობას თითქოს თავისი გასამართლებელი საბუთიც აქვსო, და ეს საბუთიც მით მართლაც ამართლე-ს იმდენად, რამდენადაც მუშაობის მოხსენებული პირობები ჩვენში არ გამოცვლილა. მაგრამ ამ პირობებს გარეთაც მაინც ყოველივე ეჭვს გარეშედ რჩება ეს უმოქმედობა, როგორც ქართველების თანდაყოლილი თვისება. სომხები მაგ. მხოლოდ შინ საქმიანობას არა კმარობენ და გარეთ რუსეთში, და თვით უცხოეთშიაც ახალ ახალ საქმეებს იწყებენ, ჩვენი ქართველი კაპიტალისტები კი თითქოს საქართველოს ვიწრო საზღვრებს ვერ გასცილებიან და საქართველოს გარედ კი შენაძენ ფულით დამშვიდებულად სიცოცხლეს არჩევენ...

მაგრამ თავი დავანებოთ ქართველ კაპიტალისტებს,—ჯერ ბევრი დრო გავა, სანამ ისინი ისწავლიდენ ნამდვილ საქმიანობას,—სხვა საქმეებში უფრო ხელ მოკლე წრეები, ჩვენებური ინტელიგენცია, ჩვენებური ვაჭრები, ჩვენებური თავად-აზნაურები, ქართველი გლეხები და ქართველი მუშებიც, განა, ამავე უმოქმედობის სენით შეპყრობილნი არა ვართ?

ინტელიგენციაზე ბევრი საყვედური თქმულა და აწიც არა ნაკლები ითქმის: მცონარე, მოლაქლაქე, უიდეალო, ყოველსავე ცოდნას და საქმიანობის გრძნობას მოკლებული, თვითონ არაფრის გამკეთებელი და სხვისი ხელის შემშლელი, შურიანი და წვრილმანი,—ქართველი ინტელიგენტი უიდეალო ხალხის ღირსეული ბელადი არის,—მის ხელში ხალხი სხვის მეწველ ფურად ხდება, თავის საკუთარ შეცდომათა შეგნების სურვილსაც კარგავს და იღუპება. ინტელიგენციისაგან დაწყებული ყოველი საქმე ჩვენში ხან მოკლე და სასიცოცხლო ძალებს მოკლებული ყოფილა.

ავიღოთ მაგალითად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება;—ინტელიგენციამ აქ რა გააკეთა, შექმნა თუ არა ეროვნული დაწესებულება, რომლის გარშემო თავს უნდა იყრიდეს ყველა ის ძალა, რომელიც ქართველების ეროვნულ აღორძინებისაკენ მიმართულია, შეუძლია თუ არა ეს დაწესებულება ქართველებში წერა-კითხვის და ყოველგვარ საჭირო ცოდნის გავრცელების საქმეს, ააყვავა თუ არა ქართული მწერლობა, შექმნა თუ არა ახალი ეროვნული ძალები, აღზარდა თუ არა სამშობლოს სიყვარულით გატაცებული თაობა? არა, არა და არა! საუკეთესო ქართველები მეთაურობდენ ამ დაწესებულებას, სხვა და სხვა პარტიებმაც მიაქციეს მას ჯეროვანი ყურადღება, ამ პარტიების მეთაური—ინტელიგენტები საქმის გამგეობაშიც კი ჩადგენ, მაგრამ დღესაც კიდევ ხსენებული საზოგადოება როგორღაც კანმარტოვებით სდგას, თვითონ სიცოცხლეს მოკლებული ერის სასიცოცხლო წყაროდ ვერ ხდება და ქართველების გულს თავისკენ დღესაც კიდევ ვერ იზიდავს და ვერა!..

მიზეზი? ტყვიან—უსახსრობაო! მაგრამ ამ უსახსრობის მიზეზი რა არის? ჩვენის აზრით მიზეზი ის არის, რომ ხალხი ამ საზოგადოებისაგან გაკეთებულ საქმეს ნაკლებად ხედავს. ორიოდე სასწავლებელი, რამდენიმე სამკითხველო, ათიოდე გამოცემული წიგნი, მორცხვად სადღაც მიმალული სამუზეუმო მასალა და საკუთარი წიგნის მაღაზია საკმარისი არ არის იმისთვის, რომ მომავალ აღორძინების იმედი ჩაბერონ მოდუნებულ ქართველობას და გააღვიძონ მძინარე და უიდეალო ქართველი ერი.

ან როგორ მოხერხდებოდა ამ დიდ საქმის გაძღოლა, როდესაც იქ თავის შინაურ საქმეების მოწყობაც ვერ მოხერხებულა. თუ მართალია ის ხმები, რომელიც ქართულ საზოგადოებაში ტრიალებს, ეს საქმეები მეტად აწეწილი ყოფილა. ამაზედ არაფერს არ იწერება, ასე ეგონება ადამიანს ყველაფერი რიგზე არისო, გარედან ცვლილებასაც ვერაფერს ვხედავთ ხსენებულ საზოგადოებაში. ერიდებიან ცვლილებას, რადგანაც ზოგიერთებს ერიდებიან—ამითი ნათლად ამტკიცებენ ქართველურ საქმიანობას. ცალკე პირის მორიდებით საქმის დაღუპვა—ეს საუცხოვო საქმის სამსახურია, ასეთი სამსახური ვამად ერგება საქმეს, რადგანაც კარგი და ავის, სასარგებლოსი ან მავნებლის გარჩევა თუ არ იქმნა, ის საქმეც არასოდეს ვერ იხეირებს...

ჩვენ გვინდა ვიფიქროთ, რომ ხსენებულ საზოგადოების შესახებ ხმები სიმართლეს მოკლებულია რომ საქმე წესიერად სწარმოებს, რომ გამგეობა ჯეროვან თვალყურს ადევნებს საზოგადოებაში მოსამსახურე პირებს და შრომას არ ზოგავს იმისთვის, რომ საზოგადოების მოქმედება ნაყოფიერი გახადოს, რომ საზოგადოების მდივანი—ეს საქმის ნამდვილი მწარმოებელი და სულის ჩამდგმელი საქმიანობის უნარს იჩენს და თავის შრომას და მეცადინეობას არ აკლებს დიად ეროვნულ საქმეს, რომ საზოგადოებაში მოსამსახურე ყოველი პირი თავის კერძო ქონებაზედ უფრო უვლის საზოგადოების ქონებას...

ჩვენ გვინდა ყოველივე ეს ვიფიქროთ, მაგრამ ქართველების საერთო უსაქმობით და უვარგისობით გულ გატეხილები აქაც ვშიშობთ, რომ ჩვენი სურვილი ნიადაგს მოკლებულია...

ამაზედ და ჩვენ სხვა საზოგადო საქმეებში ქართველების საქმიანობაზედ შემდეგ.

კ. თუმანიშვილი.

ქუთაისი

ნეტავი ჭორი გამოდგეს

არის ცხოვრებაში ხშირად ისეთი შემთხვევა, როდესაც გესმის რამე ამბავი, მაგრამ არ გინდა დაიჯერო და ნატრობ, გულწრფელად ნატრობ, ნეტავი ვცდებოდე, ნეტავი გაგონილი ამბავი ჭორი გამოდგეს...

ასე გვენატრება ჩვენც, ჭორი გამოდგეს ახლახან ქუთაისში გაგონილი ამბავი,—ამბობენ, რომ ხაზინიდან მოცემული ყოველ წლიური 20,000 მანეთი, რამოდენიმე წლის ერთად მიღებული, თავად-აზნაურობის ხელში სადღაც გაჰქრა და დაილიაო...

20,000 მანეთი ნახევარ მილიონ მანეთის წლიური სარგებელია, ეს ფული იმდენად მცირედი არ არის, რომ მისი უყურადღებოდ დატოვება შეიძლებოდეს, რამდენიმე წლის 20,000—დიდი თანხაა, რომლით ათასი, ქვეყნისთვის სასარგებლო საქმე გაკეთდებოდა. არ შეიძლება ამ ფულს არ მოვუაროთ, მით უფრო, რომ ჩვენ, ქართველები, ქონებრივად ჩამორჩენილნი ვართ და სხვა ამოდენა ფული ასე ადვილად არ მოგვეპოვება...

ეს ფული მთავრობისაგან რუსეთთან შეერთების ასი წლის იუბილეის გამო ქართველ თავად-აზნაურობას მიეცა, მაგრამ იგი მთელ ქართველობას ეკუთვნის და თავად-აზნაურობას მისი თავისთვის დასაკუთრება არ შეუძლია.

მართლაც, ასის წლის წინეთ მარტო ქართველი თავად-აზნაურობა ხომ არ შეერთებია რუსეთს, მასთან ერთად სხვა წოდებებმაც დაჰკარგეს საკუთარი მეფე და სხვისი ქვეშევრდომობა მიიღეს. ასი წლის შემდეგ კი მხოლოდ თავად-აზნაურებს არ გახსენებიათ რუსეთთან შეერთება, ამ დღის ხსენებას მხარი დაუჭირეს სხვა წოდებებმაც იმდენად, რამდენადაც საკუთარ წოდებრივ წარმომადგენლობის უქონლობა მათ საამისოდ ხელს უწყობდენ და ამ გახსენებას უადვილებდენ..

ამიტომ ახლა ყველა არა თავად-აზნაურსაც სრული ზნეობრივი უფლება აქვს მოიკითხოს მთავრობისაგან მიღებულ ფულის ამბავი, და თავად-აზნაურობა ან მისი წარმომადგენლები ზნეობრივადვე ვალდებულნი არიან საზოგადოებას პასუხი გასცენ და ფულის ამბავი გააგებინონ...

ამიტომ ჩვენც, ქუთაისში გაგონილ „ჭორებით“ გათამამებულნი, საჯაროთ ვეკითხებით ქუთაისის თავად-აზნაურობას, არის ან თუ არ არის, ვისგან ან რაზე დაიხარჯა ეს ფული? რა საჭიროებას მოხმარდა ეს თანხა? რა სარგებლობა მოუტანა ხალხს მისმა დახარჯვამ? როგორ უნდა დაიხარჯოს იგი შემდეგში?

და უმთავრესად,—მართალია თუ არა ის ხმები, რომელიც ქუთაისში დადის, რომელიც ტფილისშიაც გადადის,—ვითომც მიღებული ფული თავის თავად „დალეულიყოს“...

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყოველ ქართველს მეტად აწუხებს ეს ხმები, ყველას უნდა, რომ ფულის დალევის საქმე ჭორი გამოდგეს და სწორედ ამიტომ არ ვარგა ამ ხმების უყურადღებოდ დაგდება,—ქართველმა საზოგადოებამ ბარემ დროით შეიტყოს ის ამბავი, რომლის შეტყობის ზნეობრივი უფლება მას უეჭველად აქვს, რომლის დამალვა მხოლოდ სახელს გაუტეხს და ნდობას დაუკარგავს ხალხში ქუთაისის დეპუტატთა საკრებულოს, როგორც ეროვნულ დაწესებულებას..

სად არის ფული?

აქაური

სამართალს ელის...

სცენა.

სცენა წარმოადგენს სასამართლოს კამერას; რამდენიმე მსაჯულნი სამსაჯულო მაგიდას უსხედან. მომჩივარი ქვრივი, შავათ ჩაცმული, ერთი მხრით დგას, მის პირ-დაპირ კი—მოპასუხე—ტლანქი ტანადობის შამა-კაცი, (კადნიერი სახით).

ქვრივი. ბატონნო მსაჯულებო,
სამართალს გთხოვთ, სამართალს!
გაუსამართლებელათ
ნუ გამწირავთ მე საწყალს!

თავმჯდომარე. (ზრდილობიანათ, მაგრა მკაცრათ)

რაცა გაქვთ საჩივარი,
სამსჯავრო გთხოვთ—თქვათ მოკლეთ,
საქმეს რაც არ ეხება,
ის კი სულ გამოაკლეთ!

ქვრივი. ..ნუ დამღუპავთ მე ბედკრულს,
ობერს, უპირისუფლოს..
სხვას არ ძალუძს ჩემი ხსნა,
თუ არ თქვენს სასამართლოს...
მისმინეთ ღვთის გულისთვის
თქვენ, გონება მაღალნო,
ნუგეშნო ჩაგრულთათვის
და მჩაგვრელთა მბზარავნო!..

თავმჯდომარე. ნუ აგრძელებთ, საქმე თქვით!

ქვრივი. ...ამ ექვს წელზე მეტია
ზეცამ მომხედა რისხვით:
მიიწვია გიორგი
ჩემი ქმარი, მისი ხრმლით..
დავრჩი უმწე, უნუგეშ,
მისუსტებულ წვრილ-შვილით!..
თქვენცა გაგეგონებათ
გიორგისა სახელი;
ოჯახს ჰყავდა მფარველათ,
მტერთა იყო მოსვრელი!
იმის გარდაცვალებამ
ზარი დასცა ჩვენს ოჯახს,
მტერთ დაუდგათ დღეობა:
ალაშქრდენ, დაგვესხენ თავს!..
ოთხივ კუთხით მოაწვენ
უპატრონო ქონებას,
გვიწიოკებდენ, სჯულათ
გვიდებდენ მათსა ნებას!
(უფრო მაგარი ხმით)
მარა, წინაპართ სისხლი
უხვათ სცემდა ჩვენს ძარღვში:
თავისუფლებით სიკვდილს
ვრჩებოდით ბედს უდღეში!
მტრის ხრმალს ფარს ვახვედრებდით,
თუმც ერთი ვხვდებოდით ასს.
მარა, ვფიცავ წვრილ შვილებს,
ბევრჯელაც ვანანებდით თავს!
სიცოცხლე კიტრათ გვიჩნდა,
გახლდით თავგანწირული,
დროშა მაგრათ გვეჭირა
ბრძოლაში ეროვნული!
ყველას გვქონდა მტკიცეთ გულს
ეს აზრი დანგრეული:
„სხვის მონათა სიცოცხლეს
„სიკვდილი სჯობს გმირული!“

თავმჯდომარე. დაუჩქარეთ, ბატონო,
სხვებიც გვყავს მოსასმენი!.

ქვრივი. (ათრთოლებული ხმით).
დიაღ, მოსამართლენო,
არ ვარცხვენდი ჩემს ლეჩაქს:
შვილთ ვუვლიდი, ბატონათ
სხვა არ ვკადრე მათს ოჯახს!...
ბოლოს... გამიწყრა ღმერთი...
საიდუმლოც უბედურს (მოპასუხეზე უჩვენებს)

მე ეს ვერაგი ერთი,
როგორც დათვი თაფლის სუნს,
მომევლინა და მითხრა:
„დაო, შენი შველა მსურს,
„გხედავ გაოხრებსთ მტრები;
„ოჯახს, გმირობით ქებულს,
„დაქანცულნი შვილები
„შველებათ არ ყოფნიან;
„თათრის რჯულს გაძალებენ,
„კაბას, ლეჩაქს გიცვლიან;
„თავისუფლებას გიშხვენ,
„გვარსა, სახლის—შვილობას
„გიგმობენ, დასცინიან;
„და თვით შენსა ცხოვრებას
„აღხოცას უქადიან...
„გირჩევ, დაო, მომენდვე;
„გაღლოცებ შენებურა“,
„და შენთ შვილთა გმირობას

„პატივსა ვცემ კაცურათ!
„მიტომაც უანგაროთ მსურს
„ვიყო შენი მფარველი,
„მტერთაგან დაგიფარო
„წვრილ-შვილების მამული;
„მშვიდობა მოგივლინო,
„გაგიმტკიცო სვე, რჯული!.“
მოვლორდი და მივენდვე,
გავუღე სახლის კარი,
გულ-უხვად ვუმასპინძლე,
შევქენ ზეიმ-ზარი.
შვილებმა ქერს ქუდი ჰკრეს
მეტი სიხარულითა,
„აწ უნდა ვილხინოთ—თქვეს—
„სასურველი სტუმრითა:
„დედას და ჩვენ ერთობით
„გვპირდება მფარველობას...
„აწ კი მოვსპობთ სრულებით
„ჩვენზე მტერთა მრეობას!..“
პირველ ხნობით ის თითქმის
აღთქმულსა გვისრულებდა:
მტრების თავზე დასხმის დროს
ლაშქარსა გვაშველებდა;
და შეერთებულ ჯარით
მტრებს ისე გავუმკლავდით,
რომ დავავიწყეთ თავი
მათ, ცოლ-შვილიც მაჰმადით...
და იმიერიდან
თავს თვით ძლივს-ღა იფარვენ,
თვარა აქეთ თავს დასხმას
თვით როგორა გაბედვენ!..
გვიან ვიმცნე: მოყვარე
მტრისგან მტრის დამარცხება,
ზოგჯერ, თურმე, ყოფილა,
ნამდვილ უბედურება!..
შემდეგ მტერთ დალეწვისა
მომიბრუნდა სტუმარი:
„—ხომ ხედავ, დაგიფარე,
„მიგილეწე მტრებიო,
„დაგიმშვიდე მთლად არე,
„ბარათ ვქმენი მთიებიო?“
ეს იყო ტრაბახობა
უსირცხვო, უტიფარი:
მტერს მარტო ის ვერ ძლევდა,
თუ არ ჩემ შვილთა ჯარი,
მარა კეთილ-გულითა
ვხედავ-თქო, მაინც ვუთხარ
მე დიდი მადლობითა:
თუ დაგჭირდი, მუქაფას
გაახლებ მკვირცხლობითა...
—„არა, ნუ წუხდებიო,
„შვილებს არ მოგაშორებ:
„სხვა მაქვს იდეებიო!
„რადგან ძლიერ მომწონხარ,
„სანამ ცოცხალი ვარო,
„მე მსურს შენსას თვით დავრჩე,
„გექმრო და მოგიარო!“ (შეჩერდება)

თავმჯ. განაგრძეთ, ქალბატონო!

ქვრივი (ხმა დაშვებით). ამის გამგონეს დამეცა ზარი
და შემიჩერდა ძარღვთ სისხლის დენა;
პასუხათ ენაც ველარ დავძარი,
მხოლოთ თვალთაგან ცრემლთ იწყეს დენა.

თუმც ვიყავ ქვრივი, წელთა მტვირთველი,
სიმკვირცხლ-სიტურფე არ მომკლებოდა,
ასე რომ თვითონც ავის მდომელი
ქაბუნობას ვერ მეწამებოდა...
(ღელავს, კილოს იცვლის)
იმ სიტყვათ კი მყის შემცვალეს;
თვალთა ელვა, დაწვთა ფერი
დამიბნელეს, ჩამიყვითლეს;
რიხი სიმხნე და იერი
სწრაფათ გამიუფერულეს...
დავემსგავსე მართლა მიხრწნილს
გუშინდელი მე კისკასი:
ურიხოს და სიმხნე ახდილს—
ვთქვი—გამიტყდა ბედის თასი!..
როგორც იქნა, ბოლოს, სტუმარს
მივაკივლე და თან ვუთხარ:
„—შენ ცოლობას ღმერთმა მიხსნას!
წა, გამშორდი, ფლიდო, მძულხარ!“—
მან კი უშნოთ გაიკრიჭა
და მომიგო:—„ხომ არა გსურს
„გაგიბორკო ხელ-ფეხ-კრიჭა,
„და ვავლებდე შენს შვილთა მუსრს?
„ჭკვაზე მოდი! თვით დამნებდი,
„შემომხედე გრძნობიერათ,
„თვარა ბრძანებასაც გავცემ
„რომ აგაგონ ლუკმა-ლუკმათ!“..
ნუგეშისთვის გადავხედე
შვილებს ჩემსა უბადრუკთა...
ვითარებას საქმის მიხვდენ
შობიდანვე ჭირ-ნახულთა:
(ღელავს, კილოს იცვლის)
„—არ შედრკე, დედავ! ნუგეშინს!
შენთვის თავს დავდებთ შვილები!“—
მხნეთ შემოსძახეს, მათს ყიჟინს
აძლევდა ბანს მთა-ველები...
(ღელავს, კილოს იცვლის)
თოფით, დამბაჩით და დამასკის ხრმლით
ერთხმათ „ჰკა მაგას“ *) შემოძახილზე
აბუჩ-სტუმრის ჯარს ეკვეთენ რიხით—
გოგრებს უხმობდა ათს ერთი წამზე!
შევღებეთ ველნი ზღვის ტალღებამდე,
მთებიც—მოძალე სტუმრის სისხლათა!
მარა არ გვქონდა ძლევა ხანგრძლივი:
რიცხვმა სიმხნესა კვლავ სძლია ხრმლითა
ნებით მიცემულ ციხე-კოშკებში
ჰქონდა რა ფეხი მოკიდებული,
სიკვდილის ცელათ გვევლინებოდა
მისი ლაშქარი გამხეცებული!
გაგვტეხა წელში, შეგვკრა, შეგვკოჭა
გაგვრყვნა ზნეობით, სულით, გონებით!..
(უსულოდ, პაუზა)
აწ სასამართლოს ვთხოვ მოგვაშოროს
ძალათ სტუმარი, მისი მონებით!

თავმჯდ. (ჩუმათ ეთათბირება მსაჯულებს, მერე მიუბრუნდება მოპასუხეს და ჰკითხავს, თქვენ რას იტყვითო?..)

მოპასუხე. (მთვრალია, ლაპარაკობს ენის ბორძიკით)
ბოდიშსა ვიხდი დიდათ და დიდათ
მე სასამართლოს თქვენის წინაშე:
ცოტა გადავკარ დილა-ადრიან,—
და... ერთიც გზაში კი გავითხლაშე...
ეს ჩემი ცოლი... რასა მიჰქარავს?
რა მოშორება? ვინ სტუმარიო?!
თქვენ თითონ უწყით, სხვებიც გეტყვიან,
სჯულიერი ვარ მაგის ქმარიო!
რა მფარველობა? რისი აღთქმაო?
განა არა ვქმრობ? მე არა ვკვებავ?..
ეს ჩვეულია, ბატონო, ხუნტრუცს,
და..‛ მართალია, ზოგჯერ მივტყეპავ,
მარა, ვასრულებ მით ხოლო ჩემ რჯულს...
ვის მიუშვია ნებაზე ცოლი?
ყოველი ქალი მონაა ქმრისა!
მაგ უღირსი კი თავათ მღალატობს
და თვით მაჩივის?! (შუბლზე ანიშნებს)
სწორეთ ოქრისა!
გთხოვთ შეადაროთ ჩემსა ქმრობასა
სხვათა ქმრებისა წეს-საქციელი,
და თუ დარწმუნდეთ, რომ ყველა სხვებში
მე ვიყო უფრო გულ-ლმობიერი,—
მაშინ ამ ჩემ ცოლს გადაუწყვიტეთ—
პატივსა მცემდეს... გულის ხმიერი!!
გარდა ამისა, ჩემი გერები,
ღვთის რისხვა, უქმნი და სავაგლახო,
სულ დაითხოვოს... იგი მხეცები
სადმე წალალოს, რომ აღარ ვნახო...
მე მაგ მინდოდა და მყავს კიდეცა!
არ მოვიშორებ! ვერც მომშორდება,
გინდ შეიწიოს მაღლით თვით ზეცა!!
და თუ მეტის მეტს ამიხირდება (მჯიღებს იჩვენება).

თავმჯდ. სასამართლოა, იცოდეთ, აქა,
და არ გაქვთ ნება იმუქრებოდეთ!
რა კი მოჰყევით სასამართლოში,
პატივის ცემით ხმას ეპყრობოდეთ...

მოპასუხე. მაშ... მოკლეთ მოვჭრი ჩემსა სათხოვარს:
თქვენ მომაშორეთ ოღონდ გერები,
და მერე ჩემი ცოლი საჩივარს
თუ კვლავ მოგართმევსთ.., აღარ ვექმრები!

მსაჯულები გავლენ კაბინეთში საქმის გადასაწყვეტათ. მომჩივარ-მოპასუხე დიდხანს უცდიან. მსაჯულები არ გამოდიან. მომჩივარი ნელ-ნელა ფლიკვინს მორთავს, მოპასუხე ღიღინს იწყებს და დაცინვის კილოთი მიუმღერებს:

მიკვირს ქცევა ჩემი ცოლის,
თავ ჩალასი, მთლათ სულელის:
სიმართლისა იმედი აქვს,
და... სამართალსაც სულ ელის!..

თ. მაგმაძე

(ფარდა ეშვება)

ახალი ამბები და დეპეშები

შემდეგ ნომერში დაიბეჭდება:

ქუთაისის ბანკი და ქუთაისლები. კ. თუმანიშვილისა.

ვაჟა-ფშაველა და ვაჭრული ჭკუა. მეთვალყურესი.

ბრძოლა კლერიკალიზმთან საქართველოში.

◆ **ახალი გაზეთი.** შემდეგ ორშაბათიდან ტფილისში გამოვა ახალი ყოველკვირეული გაზეთი „Тифлисъ“ კ. პ. თუმანიშვილის რედაქტორობით. გაზეთში მოთავსებული იქნება კვირა დღის დეპეშები და ახალი ამბები. გაზეთის ცალკე ნომერი ეღირება ყველგან 5 კ. გაზეთის რედაქცია და კანტორა დროებით იმყოფება თვით კ. თუმანიშვილის ბინაზე, Гановская ул. № 6. რედაქტორის ნახვა შეიძლება 9—11 საათამდის და 3—6 საათამდის. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Гановская К. П. Туманову.

◆ **აფიცრების დაზღვევა.** მთავრობას განუზრახავს სამსახურში მყოფ ყველა აფიცრების დაზღვევას იმ პირობით, რომ აფიცრის სიკვდილის შემდეგ მის ჭირისუფლებს ერთდროულად 500 მანეთი მიეცესთ.

✖ 17—24 მაისს ტფილისში სავასტროლოდ ჩამოვიდენ ცნობილი მსახიობები ძმები რობერტი და რაფაილ ადელგეიმები.

◆ ტფილისის მაზრის მარშალი თავ. პ. ი. თუმანიშვილი, რომელიც კახეთის რკინის გზის კონცესიის მისაღებად პეტერბურღში იყო წასული, ამ დღეებში ჩამოვა და თანამდებობის ასრულებას შეუდგება.

◆ ამ დღეებშივე ჩამოვა სიღნაღის მარშალი თავ. დ. ე. ჩოლაყაშვილი, ამავე საქმეზე პეტერბურღში წასული, და სამეურნეო ბანკში თავმჯდომარეობას დაიწყებს.

◆ ბათუმის საბეითლო ინსპექტორი ტუსკინი სამსახურიდან გავიდა.

◆ **სახელმწიფო საბჭოს ახალი წევრები.** ნამესტნიკს შინაგან საქმეთა მინისტრისაგან ცნობა მოუვიდა, რომ ამ ზაფხულში უნდა მოხდეს ტფილისის და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებები სახელმწიფო საბჭოს ამრჩევლების ასარჩევად. ამ ამრჩევლებმა ზაფხულის დამლევს პეტერბურღში მონაწილეობა უნდა მიიღონ სახელმწიფო საბჭოს წევრთა არჩევნებში. წრეულს რამდენიმე ახალი წევრია ასარჩევი.

◆ **უფულობა.** ნახალოვკისაკენ მისავალ ხიდის გადაკეთება რკინის გზას 200,000 მანეთი დაუჯდება,—რაკი ფული არა გვაქვს, მის გადაკეთებას ჯერჯერობით ვერ შევუდგებითო.

◆ **ქუთაისლების ჩამოსვლა.** ქუთაისის ქალთა მეორე საქალაქო სასწავლებლის ბავშვებისათვის, რომლებიც ტფილისში სამოგზაუროდ ამ ერთი კვირის შემდეგ უნდა ჩამოვიდენ, ტფილისის ქალაქის გამგეობა ბინას ზუბალაშვილების სახალხო სახლში ამზადებს.

◆ **ქუთაისის ბანკი.** გუშინ, კვირას, ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების წლიური კრება იყო. ბოდიშს ვიხდით მკითხველების წინაშე რომ ამ კრების წინ არ გავაცანით მას ის წერილი, რომელიც ჩვენ რედაქციაში ხსენებულ ბანკის შესახებ მოუვიდა, და რომელშიაც ნათლად არის დახასიათებული ახლანდელ გამგეობის პოლიტიკა—საქმის ნამდვილი მდგომარეობა არ გააცნონ წევრებს და საზოგადოებას. ამ წერილს შემდეგ ნომერში დავბეჭდავთ.

◆ **ანტიგონა.** შაბათს, 2 მაისს, ტფილისის არტისტულ საზოგადოების თეატრში უკანასკნელად იქნება წარმოდგენილი „ანტიგონა“, რომელმაც ასე გაიტაცა ტფილისის საზოგადოება.

◆ **ა. კარგარეთელის ბენეფისი.** ხუთშაბათს, 23 აპრილს, წარმოდგენილი იყო „სად მიხვალ“ ჰ. სენკევიჩის რომანიდან გადმოკეთებული, თარგ. აკაკისა. ეს პიესა პირველად იყო წარმოდგენილი და იმედია კიდევ რამდენჯერმე გაიმეორებენ.

◆ **ტასო აბაშიძის ბენეფისი.** ხუთშაბათს 30 აპრილს წარმოდგენილი იქნება ორი ოპერეტკა: „ნატვრის თვალი“ და „რაინდი უშიშარი და გულმართალი“. წარმოდგენა დაიწყება საღ. 8 ნახევარ საათზე. დარწმუნებული ვართ, რომ საზოგადოება ბლომად დაესწრება ამ საღამოს, მით უფრო რომ ოპერეტკები მხიარული და სახალისო მოსასმენია.

ქართული თეატრი. კვირას, 19 აპრილს, ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა ახალგაზრდა დრამატურგის ნ. შიუკაშვილის პიესა „მეგობრობა“ და დ. კლდიაშვილის სცენა „დარისპანის გასაჭირი“. ორთავე პიესამ ძრიელ სუსტად ჩაიარა, განსაკუთრებით პირველ პიესის მესამე მოქმედებამ. ძრიელ სამწუხაროა, რადგან ამ პიესას ამ სეზონში მესამეთ თამაშობენ ბ. გვარაძე ვერაფერი შვილი აფიცერი იყო, მის გარეგნობას სრულებით არ შეეფერება ამნაირი როლები. ვოდევილმა ბევრი აცინა საზოგადოება. საუცხოვოდ „დაგოგმანენ“ სცენაზე ქ-ნნი ჯავახიშვილი და ჩერქეზიშვილი. „ბუნებრივნი“ იყვნენ ბ-ნნი შალიკაშვილი, გუნია და ურუშაძე. მაგრამ ის კი ვერაფერი ბუნებრივობაა, რომ „ახალ-მოდის ყვითელ ტუფლებით“ გამოდიან სცენაზე მოხუცი დედაკაცის როლებში. (ამას წინათაც დაემართათ ასეთი „სჯაყი“ საქმე „და-ძმის“ წარმოდგენაზე: ფარად ფაშას ხილი დ ტკბილ-ლობა აგრეთვე ახალ მოდის „ვაზათი“ მიართვეს). ხალხი ნაკლებად დაესწრო.

დაბა-სოფელში

დ. ხონი. კვირას, 19 აპრილს, ხონის სამამასახლისო მცხოვრებთა სასოფლო ყრილობა მოხდა. ამ ყრილობაზე მამასახლისმა მოახსენა ხალხს ქუთაისის გუბერნატორის მოწერილობა, რომლის ძალითაც უბრძანებიათ ყველა ახალ ნასალდათრებს, ე. ი. იმათ, ვისაც უკანასკნელი ოთხ-ხუთი წლის განმავლობაში გაუთავებიათ სამხედრო სამსახური, ჯარში დასაბრუნებლად მუდამ მზად იყვნენ, რომ შესაფერ ბრძანების მიღებისთანავე, 24 საათის განმავლობაში წარსდგენ სადაც ჯერ არს. ჯარში გასასვლელად მზად ყოფნა ევალებათ აგრეთვე ცხენოსან ჯარის კაცებსაც. ამასთან გუბერნატორი უბრძანებს მამასახლისს, მზად იყოლიოს ურმები და მოწერილობის შინაარსი მეურმეებსაც გადასცეს. ხოლო როდის იქნება საჭირო ჯარის კაცები და მეურმეები, ამას გუბერნატორი არ ატყობინებს ხალხს. ამ ამბავმა ადგილობრივი მცხოვრებლები დიდ საგონებელში ჩააგდო. ყველას ეშინია, ვაი თუ იმ დროს მოგვიხდა წასვლა, როდესაც ყანებში მუშაობაა საჭირო და ვაი თუ ამის გამო უკიდურეს გაჭირვებაში ჩავვარდეთო.

ამავე ყრილობამ გადასწყვიტა მთავრობის მეორე აფთიაქის გახსნის უფლება საზოგადოებას მისცეს და ამ ნებართვის გამოსათხოვნელად აირჩიეს კომისია, რომელიც შემდეგ პირებისაგან შესდგება: ა. და ბ. ბახტაძეები, ი. და ბ. ქუთათელაძეები, პ. კაკაბაძე და ს. აბაშიძე. ამ აფთიაქის გახსნით საზოგადოებას შემოსავალი შეემატება, ახლანდელი ერთი აფთიაქი ხონის და ახლო მახლო სოფლების მოთხოვნილებას სავსებით ვერ აკმაყოფილებს.

ვინმე იმერელი

ქუთაისი

ბ-ნ დიახოს წყრომა ბ-ნ სტურუას მიმართ

(იხ. გაზ. „ივერიის“ მე-15 №-ში)

ამ ოთხიოდე წლის წინად საღორია-კახიანურლებმა განვიზრახეთ პირველ დაწყებით სასწავლებლის დაარსება, სადაც უნდა ესწავლათ ორივე სქესის ბავშვებს. ამ საქმის დაგვირგვინება მოგვანდო საზოგადოებამ რამდენიმე პირს და მათ შორის ბ. სტურუას. ამ საქმის გამორჩევისთვის მივმართეთ პატივცემულ პირებს ბ.ბ. რაჟ. დაოეშიძეს და დავ. ავალიანს, რომელთა შემწეობითაც, რამდენიმე ხნის შემდეგ, გვეღირსა საქალაქო შკოლა. ხოლო ამ ხანებში ბ. სტურუა სხვაგან იყო სამსახურში. მის აქ არ ყოფნის დროს, განვიზრახეთ კოლლექტიური თხოვნა მიგვერთმიათ ქალაქის თვითმართველობისთვის სტურუას ჩვენში დანიშვნის შესახებ, როგორც ენერგიული და დაუზარელი მუშაკისა და აქაურ შეგნებულ საზოგადოებისგან პატივცემულისა. სამასწავლებლო კომისიას სასურველად ვერ ეცნო მისი სანიმუშო გაკვეთილზე დასწრებაც, არამც თუ მისი მიღება. ზოგს ეთქვა სამოქალაქო სასწავლებელი აქვს გათავებულიო და არ შეიძლებაო (მართლაც და ვაშა პატენთიანო იდეალისტებო!) ზოგს პატარა ტანისაო (კიდევ კარგი, რომ კბილები არ გაუსინჯეს გასაყიდ პირუტყვსავით) და ასე. ხოლო მასწავლებლის ადგილზე, ვითომდა ჩვენ სკოლაში, მიიღეს, ოჰ საკვირველება, არა სემინარიელი. შკოლა გაგვიხსნეს იქ, სადაც არსებობენ ქალაქის სავაჟო, ქალებო და სამრევლო შკოლები, ე. ი. საფირჩხიაზე, ძველ ტფილისის ქუჩაზე, სადაც კახიანურ-საღორიიდან, რომელიც მდებარეობს რიონის რკ. გზის და ბოლდათის შარას გამწვრივ, ბავშვები ვერ ივლენ და არც დაიარებიან რკ. გზის ლიანდაგზე შკოლაში, განსაკუთრებით ზამთარში, რადგან მატარებელი თოვლის ზვინებს აგროვებს ლიანდაგის გამასწვრივ; ბალახვანის გზით კი უხერხულია ბავშვებისთვის საფირჩხიაზე ასვლა. ამიტომ ვთხოულობდით შკოლას ჩვენში, როდესაც ჩვენში ველარ დავიარსეთ შკოლა, ვითხოვეთ ჩვენთვის ნაბოძარ შკოლის გადმოტანა ბალახვანში, სადაც არ არის შკოლა და სადაც უშიშრად შეგვეძლია ბავშვების გაგზავნა. მაგრამ ამაზე საბჭომ „დიახისებური“ უარი გვისტკიცა. ამ ხანებში ბ. სტურუა ღებულობს ოთხი თვის უჯამაგირო ოტპუსკს და მიდის ტფილისში სწავლის შესაძენათ. იქიდან ის მალე ბრუნდება უქანქრობისა გამო და ქუთაისში მეგობრების და ნაცნობების დახმარებით იწყებს მეცადინეობას საბეითალო ინსტიტუტში შესასვლელად. ენკენისთვეში ეგზამენზე მას არ უშვებენ და ამავე დროს მას იწვევს დროებით მასწავლებლად ქუთაისის მე-2 სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი, სადაც რჩება პირველ ამ თვემდის. საბჭოს უარის თქმის შემდეგ ბალახვანში შკოლის გადატანაზე, სტურუას ვსთხოვეთ ახალი შკოლის გახსნის შესახებ ჩვენთან ერთად მიეღო მეცადინეობა, რაზედაც თანხმდება. მასთან ერთად ვირჩევთ შკოლის ტიპს. ვიწონებთ დასაარსებლად ორკლასიან სამინისტრო შკოლას ეგრედ წოდებულს *) „სამრევლოსას“ 1828 წ. წესდებისას, სადაც კურს დასრულებულთ უფლება ეძლევათ მისცენ შემოკლებული ეგზამენები ფარმაცევტის მოწაფეზე და სხვა. მასწავლებელნიც უზრუნველ ყოფილნი იქნებიან ეკონომიურად და უფლებრივად, უბრალო სამინისტრო შკოლებთან შედარებით. შკოლის ეკონომიურ გამგეთ იქნება კანონით საშვალო სამზრუნველო, ხოლო ამ ტიპის (დ. ლანჩხუთშია) სასწავლებლის დასაარსებლად საჭირო იყო დირექციასთან მოლაპარაკება, თუ რა პირობებს მოითხოვდა ჩვენგნივ. დირექციის წარმომადგენელი თანაგრძნობით შეგვხვდა ამ გვარ უფლებიან შკოლის დაარსებაზე და აღგვითქვა დახმარება მასწავლებლების შენახვაზე და ერთ დროულ შენობის აშენების დროს რამოდენიმეთ დახმარება ფულით. საჭირო იყო ჩვენგნივ მიწის შეძენა და შენობის ასაგებათ წყაროს გამოძებნა. შენობის აგებაში დახმარება აღგვითქვეს რკ. გზის ზოგიერთ მოსამსახურეებმა, რომელთაგანაც ზოგს უკავია იჯარით ქალაქის იწები. მიწა კი უნდა დაგვითმოს ქალაქმა, ზნეობრივ მოვალეობის გამო, რადგან ჩვენ ქალაქის თვითმართველობის და ჰოგნარის სასოფ. საზოგადოების მოხელეებს არ ვივიწყებთ გადასახადების (ხარკის) გადახდაში, ხოლო კულტურული საქმე არც ერთს არ გაუკეთებია ჩვენთვის. ამავე დროს სტურუა ცდილობს ხალხისვე მინდობილებით კახიანურ-საღორიის ქალაქის საზღვრებში შეტანას, რადგან ჩვენ ერთ და იმავე დროს 10 წელიწადია ჰოგნარის სას. საზოგადოების და ქალაქის თვითმართველობის სამსახური გვხვდება. 1907 წ. მას შეაქვს კოლლექტიური თხოვნა ქალაქის საბჭოში. საბჭო ამტკიცებს თხოვნას, მაგრამ კახიანურ-საღორია ისევ სოფლად რჩება. ამ წელში ბ. სტურუა სხვებთან ერთად მეცადინეობს კიდევ მის ქალაქის საზღვრებში შეტანაზე. ამაზე. მის წინაღმდეგ ამხედრდენ მედუქნეები და მათი აჰყოლები (ქალაქის პატენტი ორჯერ მეტი ღირს სოფლისაზე). პირველებს აიმედებენ ქალაქის თვითმართველობაში და გუბერნატორის კანცელარიაში დღეს ხვალობით, ხოლო მეორენი სოფლის პატენთებს ღებულობენ და სამიკიტნოების რიცხვი ერთი სამად მატულობს. ერთ გამარჯვებულ მიკიტნთაგანს ეთქვა, რომ სტურუასიანებს გაემარჯვათ, მაშინ მას წიაღსა შინა აბრაამისას გავამგზავრებდითო; ხოლო მეორემ სააღდგომოთ უტკიცა სიტყვიერი დანოსი რკ. გზის ჟანდარმთან 1905 წლისაზე. სასკოლო მიწის შესახებ მივეცით ქალაქის გამგეობას კოლლექტიური თხოვნა, სადაც ჩვენი უნებლიეთ შეცდომით არ არის მოხსენებული, თუ როგორი ტიპის სამინისტრო შკოლისთვის ვითხოვთ მიწას და, თუ ამ შეცდომის გასწორება შესაძლებელი იქნება ჩვენ მზათ ვართ ჩავამატოთ თხოვნაში ტიპი შკოლისა. საბჭოს სხდომაზე დავესწარით ჩვენც, როგორც გარეშე მაყურებელნი. ბ. მოსეშვილმა გამოთქვა თავის სიტყვაში ის აზრი, რომ ამნაირი შკოლები არ არის სასურველი კახიანურში, ვითარცა ქალაქის საზღვრებში შემოსულისაო, და დააბოლავა შემდეგით: „დამახინჯებულ სასწავლებელში დაყრუებულნი მასწავლებლებიო და, თუ ეგეთი არ იყვენ, განა შესაძლოაო 25—30 მან. კაცმა იმსახუროსო. მოდიან აქ და გვიმღვრევენ წყალსა სხვისი შთაგონებითო“. მაშინ სტურუამ ჩვენ გვითხრა აღელვებით: „ჩვენ ორგანოებში ხშირად შეხვდებით სიტყვებს: „ქართველი პუ-

---

*) სამხედრო შემოძახილია.

*) ამ შკოლის გეგმა და გაკვეთილების განაწილება იგივეა, რაც თქვენ ნაქებარ შკოლებში, ხოლო მისი ასრულება დამოკიდებულია მასწავლებლების მირთვნებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიშკევიჩებიო“ და თუ ბ. მოსეშვილი ერთი იმათგანი იყო არ მეგონაო“. სასკოლო მიწის საკითხი საბჭომ გადასცა კომისიას და ჩვენც ერთად სტურუასთან კომისიის ზოგიერთ წევრს ვაცნობებდით ჩვენ სნეულებებს, რასაც ჩვენ არა ვთვლიდით ზნეობრივი მხრივ დამამცირებლად. ყოველივე ესენი და სხვებიც იწერებოდა ზოგიერთ ორგანოებში. რადგან ბ. სტურუას შეურაცხყოფა გვეხება ჩვენც, გარდა სიტყვა „პურიშკევიჩისა“, რაზედაც პასუხის გაცემა მისი ნებაა, ამიტომ ვეცდებით მოკლედ პასუხის გაცემას თქვენ ბრალდებებზე, რომლებიცაა მიმართული ბ. სტურუაზე ე. ი. ჩვენზე. 1) თქვენ იწერებით „კახიანურის და საღორიის მცხოვრებთა ერთი ნაწილის შუამდგომლობაო“. სიმართლე მოითხოვდა, რომ გამოგეტოვებიათ სიტყვები „ერთი ნაწილის“, რადგან საღორია-კახიანაურლებათ უწოდებენ იმ მცხოვრებთ, რომლებიც ცხოვრობენ რიონის რკ. გზის და ბაღდათის შარას ორივე მხარეზე და რომლებსაც ხელი უწერიათ თხოვნაზე. დანარჩენი ტყიბულის რკინის გზის ორივე მხარეზე მცხოვრებთ უწოდებენ საფირჩხიელებლად. 2) თქვენ იწერებირ: „სამ. შკოლის გახსნა მომავალი წლიდან განუზრახავს ს. ხ. შკოლების დირექციას“. სამ. შკოლის 1828 წ. განიზრახა დირექციამ კი არა, არამედ ჩვენ, თქვენიანების წყალობით, ხოლო დირექციამ ნივთიერი დახმარება აღგვითქვა. 3) თქვენ ამბობთ, ბ. მოსეშვილმა თქვაო: „კახინაური და საღორია ქალაქის ფარგალს არ არის გაცილებული და ამ ნაწილის მცხოვრებლები ქალაქის მცხოვრებთ ეკუთვნიანო“. სიმართლის ქვეშ უნდა ეთქვა მას: „კახინაური საღორია ქალაქის საზღვრების გარეთ არისო და თვით მცხოვრებნი ეკუთვნიან ჭოგანის სასოფ. საზოგადოებასო, ხოლო საკრებათ ჩვენო“. 4) თქვენ ამბობთ: „რომ დირექციის ასეთი წინა პოლიტიკის დამცველად გამოდის ვიღაც (ვითომ ვერ ვიცნობთ), ერთ დროს შკოლის განახლების მოტრფიალე (ამ საკითხზე მისი ავანჩავანის მცოდნე რომელიმე მასწავლებელთაგანმა იქნებ გაგვაცნოს, თუ ის ეხლა მტრულად ხედავს სწავლა-აღზრდის საქმეს)- ყოფილი სოფლის მასწავლებელი ბ. სტურუა და მეალილოესავით ადგება კომისიის წევრებს კარზე დირექციის შედგენილი გეგმით და უმტკიცებს, რომ დირექცია თქვენ არ გატყუილებთ, სწავლა ერთი იქნებაო“. რაც შეეხება დირექციის გაიძვერულ პოლიტიკას, ჩვენი კახინაურ-საღორიის საქმეში, სიმართლეს მოკლებულია და აქარწყლებს ჩვენ მიერ ზევით ნაამბობი საქმის მდგომარეობა. რაც შეეხება ჩვენ „მეალილოებასს“ კომისიის წევრების კარებზე“, ამტკიცებს ჩვენს მათხოვრობას და თქვენიანების ბატონობას; თუმც მათხოვრობა არ შეშვენის მოქალაქეს, მაგრამ „ძალა შეიქმს სიყვარულსაო“, რაზედაც დრო ხელს გიწყობსთ. 5) ქვევით იმეორებთ კიდევ: „დირექციის გაიძვერულ პოლიტიკას ბანს აძლევს მასწავლებელი, ალბათ პირადი ანგარიშებით დაინტერესებული“. კიდევ გიმეორებთ, რომ დირექციას ჩვენ ვთხოვეთ დახმარება უბრალო სამ. სასოფ. შკოლის გახსნის კი არა, არამედ 2 კლ. სამრ. შკოლისა 1828 წ. რაც შეეხება მისგნივ პირად ანგარიშების დაინტერესებას, ეგ მართალი არ არის. თანახმად იმის ცოდნის ბარგის მქონე, მასწავლებლისა, ის თითქმის მომზადებულია უმაღლეს სახალხო შკოლაში მასწავლებლობაზე და ვექვობთ, რომ დაგვეთანხმოს ჩვენ მომავალ შკოლაში მასწავლებლობაზე და ამით მისი შრომა გაანიორ წყალოს, თუმც ჩვენ ძრიელ კმაყოფილი ვიქნებით ენერგიულ და პროგრესიულ მასწავლებლის ყოლით, როგორიცაა ბ. სტურუა. თქვენ ამბობთ სხვათა შორის ჩვენზედაც: „ისეთი დრო დადგეს კიდევ, რომელსაც 1905 წელში ადგილი ჰქონდა, ეს ვაჟბატონები „ჩვენც ვხნავდითო დაიძახებენო“. არა ბატონო! თქვენ ხანით თქვენიანებში, ხოლო დაუფარცხელი არ დაგრჩესთ, რომ გულწითელა ჩიტებმა არ ამოგიკენკოსთ ნათესი. რაც შეეხება ჩვენ კუთხეს, მას უკვე ყავს შესაფერი, კულტურულად მოაზრე, წამოჩოქებული ინტელიგენცია, რომელიც თქვენ ნატაციებს არ საჭიროებს. გვიკვირს თუ ასე რად დაიყვინეთ ჩვენში სტუმრობა, თუმც სტუმრად ეხლა პროვინციაში, მაგრამ ჩვენ უიმისოდაც არ დავიმჩნევდით მოწყენილობას.

ეხლა ვიცოდე ნეტავ, თუ რა იყო მიზეზი, რომ მომრიგებელი მოსამართლე ბ. აბულაძე, მეშჩანთა სტაროსტა ბ. გოგოლაძე და სხვანი არ მონათლეთ ამ სამი წლის წინად მოღალატებად, როგორც ჩვენ, როდესაც მათი ინიციატივით გახსნეს უბრალო სასოფ. სამინისტრო შკოლა ჭომაში, იმ ჭომაში, რომელიც შედის ქალაქის საზღვრებში (ფარნებია და ქალ. პოლიცია), მაშინ როდესაც ჩვენ ვთხოულობთ უფლებიან 1828 წლის წესდების შკოლას და ისიც ქალაქის საზღვრებს გარედ. მაგრამ ცხადია დაბალ ღობეზე ხოხვა გეხერხებათ როგორცა სჩანს.

გასან ჯაფარ.

მ ზ ე

ახალი წეს-წყობილება.

მზეს დაუდგეს სალოცავები ყველგან: არმაზში, უჟარმაში, აწყურს, ჰყონდიდს, ჯუმათს.

მზიან მხარეთ დაისახა საქართველო. მოგზაურნი მოითხრობდენ:

„ქვეყანა არის მარად-მზიანი
და მასში ერი ენა-მზიანი.“

ეს ასე იყო, მაგრამ ღმერთს რათ უნდოდა საყდრები, სალოცავები, ის ისეც ქვეყანას უხვად უგზავნიდა წვიმას, ნათელს, სითბოს,

რა გაეწყობოდა. კაცს სულის თავსაფარად საყდარი მიაჩნდა და ღმერთიც არ ეწინააღმდეგა.

ასე მიდიოდა დრო, ცხოვრება ახალ კალაპოტში იმართებოდა.

ზოგიერთმან წყლის სიმცირემ გააჭირა საქმე. მაშინ ღმერთმა დაბადა ფაზისი (რიონი). ეს ასე მოხდა.

მზეს ცოლად ჰყვანდა ოცირუა, რომელიც ოკეანეს ქალი იყო. ამისაგან მზეს გაუჩნდა მდინარე ფაზისი.

ერთხელ ფაზისმა დაინახა, რომ მისი დედა ღალატობს ქმარს. მოკლა დედა და გასწია ქვეყნის მოსარწყავად. გასანაყოფიერებლად.

შემდეგ მზემ შეამჩნია, რომ, ხშირად, ადამიანებში უთანხმოება ხდებ და, ვერ იყოფდნენ წყალს, მიწას, საზღოს, არა ჰყვანდათ შემრიგებელი, მოთავე.

მის შვილს ჰყვანდა შვილი მზე, ამას თავისი ძე აიეთისი. ეს დაუდგინა მთავრად, მეფედ. ჩემს შვილებს მოუარეო.

მან ააშენა დიდი ქალაქები: აია, ქუთაისი, სიბარისი. მათში მშვენიერი სასახლეები დადგა. ზაფხულობით ცხოვრობდა სიბარისში, შემოდგომას—ქუთაისში, ზამთრობით—აიას, რომლისაგან თვითონაც დაერქვა აიეთისი.*)

აიეთი ელვარებდა ვით ოკეანედამ ამომავალი მზის გული. ბრწყინვალე მუზარადი, ჩაფხუტი და სხვა საომარი საცმელები და იარაღი ამშვენებდა მას.

მზე—ღმერთს მიეცა მისთვის ეტლი და მასში შესაბმელი რაშები, სწრაფნი, ვით ქარიშხალი.

ჩაჯდებოდა-რა ეტლში, მარცხენა მკლავზე მაგარ ფარს მოიმარჯვებდა, მარჯვენაში გმირისეულ ლახვარს იჭერდა, ეტლის კოფოზე ცხენების სამართავად ჯდებოდა მისი ძე ჭაბუკი აბსარი: (აბხაზი), ეტლის წინ ანთებული კვერონით ხელში დგებოდა მხედარი შემდეგ მეფის ნიშნებით დაიძროდა ეტლი და გაქანდებოდა ქარივით. სწრაფ მოივლიდა მეფე სახელმწიფოს და დაბრუნდებოდა შინ.

მოსულს სასახლის კარებდან ეგებებოდნენ ძმა პერსე, დედოფალი ჰეკატა, რომელიც პერსეს ასული იყო, შვილები ეგიალი (-ეგრი), ცირცეა, ქალკი-პე და მედეა. მეფეა. მეფე მისალმებოდა ყველას და სასახლისკენ გასწევდა. ყველანი მიჰყვებოდენ.

სასახლეს ჰქონდა მარმარილოს კიბე, მაღალი კედლები, კამაროსანი სვეტები. ზემო ნაწილს ამშვენებდა ბრინჯაოს ხვეულები და ხლართულები. კიბის ორივე მხარეს გადაჰფენოდა ვაზის ბარდანი, რომლის ჩრდილში იყო 4 აუზი: ერთში შადრევანად გამოსჩქეფდა რძე, მეორეში — ღვინო, მესამეში — სურნელოვანი მირონი, მეოთხეში—ანკარა წყალი, ცივი ზაფხულს, თბილი ზამთარში. არემარეს ატკბობდა მრავალგვარ სირთა სტვენა, გალობა.

სასახლის მოშორებით ცალკე ფარდულში ება სპილენძის რქიანი ხარები და სპილენძის პირებიანნი, რომელთაგან ცეცხლს აფრქვევდნენ. იქვე იდო ფოლადისაგან გამოჭრილი გუთანი.

ვენახით, წაბლით, კაკლით, თხილით შემკული იყო აქაურობა და მთელი სამეფოც. უფრო თვალსაჩინო ზვრები იყო ქუთაისის ბოლოს, ცირცეას ველზე.

ეს ცირცეა იყო აიეთის და ამ ველზე მუშაობა უყვარდა. აქ აგროვებდა სხვა და სხვა ბალახებს და სამკურნალო წამლებს ამზადებდა. მას ამ საქმეში შველოდა დედოფალი ჰეკატა, რომელმაც თავის მხრივ მოიგონა წამალი აკონითუმი (= aconitum.) ბევრი ახალი წამლები აღმოაჩინეს აგრეთვე ცირცეა მეორემ და მედეამ.

პირველ ხანს სამეფოში მშვიდობიანობა იყო. ძმები აიეთისი და პერსე, რომელიც მეფობდა ტავრიდას (= ყირიმს), მეგობრულად ცხოვრობდნენ. აიეთის ქალი მედეაც საბერძნეთს გათხოვდა. ამ დროს აიშალნენ ძმები. პერსე შემოებრძოლა ძმას და ტახტი წაართო. მედეა მოვიდა, დაამარცხა ბიძა და მამას ტახტი ისევ დაუბრუნა. თვითონ კი წავიდა აღმოსავლეთისკენ და ცალკე სამეფო **მედეა** დააარსა. შემდეგ ამ სამეფოს დაერქვა მისი შვილის სახელი **მედეა**.

მეორე თავისი ქალი ქალკიოპე აიეთისმა მიათხოვა ბერძენს ფრიქსს, მესამე —ცირცეა სკვითთა მეფეს. ეს ცირცეა, მეტად მძლავრი იყო, აუჯანყდა ქმარს მოჰკლა და თვითონ გამეფდა სკვითიას.

მზე-ღმერთს სწყინდა, რომ კაცობრიობა ირეოდა და ამდენი სისხლი იღვრებოდა. ეუბნებოდა:

— რა გაჩხუბებთ, ყველანი ჩემი შვილები ხართ, ყველანი მიყვარხართ, თქვენს ქერქში დადექითო.

ვინ იყო გამგონი?

მგელი მგელს ინდობს, ვიდრე დასისხლიანებულს არ ნახავს, კაცი კი კაცს არა.

კაცი კაცისთვის მგელი კი არა, მგელზედაც უფრო მგელია.

დაიწყეს წაკიდება, ცარცვა, გლეჯა, მისევა.

გაჭირდა ცხოვრება. შეიქმნა შიში, ვალალი ასე არ ივარგებსო და იწყეს სახლ-კარის და ეზო-ყურეს შემომაგრება, შემოზღუდვა. ამანაც არ გასჭრა. ადგნენ და სასტიკი განონები დაიწყეს შეიბოჭნენ, შეიკვრნენ.

თავისუფალნი ახლა კანონის და ადათის მონები გახდნენ. კანონში თუ არ ეწერა, ფეხს ვერ გადასდგამდი.

მაგრამ ყველა ამანაც ვერ იხსნა ხალხი ბოროტისაგან.

ახლა დატრიალდა ქვებუდანობა, გველაძუობა, მზაკვრობა, ცბიერება.

ნათელი ღმერთი მაღლიდგან ხედავდა ამას და ამბობდა:

— ნეტა რაზე იხოცავენ თავს, რათ იხუთავენ სულს, რათ იჭირებენ ყოფას. მიწა უხვადაა. ყველას ეყვის. ძმურად გაინაწილონ, ძმურად შეიმუშაონ, ძმურად იცხოვრონ. სიტკბოებისთვის გავაჩინე. ვით კრუხის კალთებ ქვეშ მისი სიწილები, ისე მყვანან ჩემს სინათლეში, სითბოში, სიუხვეში და იგინი კი, დახე, რას ჩადიან, როგორ სჩაგრავენ ერთმანეთს. როგორ არ იმეტებენ ერთმანეთისთვის მიწას, წყალს, სითბოს და სინათლეს. და არა თუ ესრე, ყველა ზვიადობს, ყველას დიდკაცობა უნდა, ზოგი იმასაც ნატრობს, რომ უსაქმოდ და უშრომლად ქადა-ნაზუქი მიერთვას, ჰამოს, სვას, იქეიფოს, „მრავალ-ჟამიერი“ გააბას. ხელი მივე, რომ იმუშაოს, ფეხი, რომ იმოძრაოს, ჭკუა, რომ ბრძნულად იცხოვრონ; ის კი ხელს არ ამოძრავებს და თუ ამოძრავებს, მოძმის დასაჩაგრავად, მის გასაყვლეფად, დასამონებლად. მე ხომ ყველანი თანტოლი აზნაურებად გავაჩინე!

მოჰკრეს ამას ყური დაშეიუბნენ:— ღმერთი დაგვსჯისო, გული რითიმე მოვუგოთო.

სურნელოვანი ბალახები და ხილი შესწირეს,

მაგრამ ღმერთს რათ უნდა ეს!

მერე დაუკლეს ნასუქი ცხვარი, პოხიერი კურატი.

მაგრამ ღმერთი ხომ სისხლის მწოვი არ იყო!

შემდეგ მოილაპარაკეს, გადასწყვიტეს:

— შვილები შევწიროთ და მით დავამტკიცოთ, რომ შვილზედაც მეტად ღმერთი გვიყვარსო.

გამჩენმა შემოუთვალათ:

— ეგ უგუნურებაა. რა ნება გაქვთ სიცოცხლე წაართოთ არსებას, რომელშიაც ჩემი ცხოველი და მარად უკვდავი სული მკვიდრობსო. კარგად და კეთილად იცხოვრეთ, ეგ იქნება ჩემი სასიხარულიო, თქვენ-მიერ ჩემდა შემოწირული მსხვერპლიო.

მაგრამ ღმერთს არ შეუსმინეს და იწყეს ბილწი სილოდა ემზორვა.

მ. ჯანაშვილი.

(დასასრული იქნება)

---

*) აფხაზ. **აჰ**—მთავარი; აჰეთი ანუ აიეთი და აიეთისი.

რედაქტორ-გამომცემელი
კ. ი. ხერხეულიძე.

განცხადებანი

НОВОСТЬ XX ВѢКА
СТАЛЬНАЯ-АЛЮМИНIЕВАЯ
КУХОННАЯ ПОСУДА
Акц. О-во
АЛЕКСАНДЕРВЕРКЪ
А. ФОНЪ-ДЕРЪ НАМЕРЪ.
МОСКВА, Мясницкая, № 20.
ХАРЬКОВЪ, Московская, № 11
И ВО ВСѢХЪ ЛУЧШИХЪ МАГАЗИНАХЪ
ХОЗЯЙСТВЕННЫХЪ ПРИНАДЛЕЖНОСТЕЙ.

ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ КОМПАНІИ ЗИНГЕРЪ

1 მანეთიდან ფულის გადახდა ნაწილ ნაწილათ 1 მანეთიდან
ხელის მაშინები 25 მნეთიდნ

THE SINGER MANFG. CO. TRADE MARK.

იყიდება იმპერიის ყველა ქალაქში, განსაკუთრებით საკუთარ მაღაზიებში.

თფილისში სამი განყოფილებაა: 1) გოლოვინის პროსპექტზე სასახლის პირდაპირ; 2) ვაგზლის ქუჩა, სახლი ენფიანჯიანცისა; 3) ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, სახლი ჯალალოვისა.

პროვოდნიკის
ამხანაგობა
რიგაში

ФАБРИЧ. КЛЕЙМО Т. Р. Ф. З. Р. Т. ПРОВОДНИКЪ РИГА
1888

ПОСТАВЩИКЪ ДВОРА ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА

1908 წ.

საფაბრიკო საწყობის განყოფილება
ამიერ-კავკასიისთვის
თფილისში სოლოლაკის ქუჩა, № 4.

იყიდება ნარდათ და ცალობით

დარეზინებული წყალგაუვალი ზედა ტანისამოსი სულ ახალი საზღვარგარეთულ ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიებისა სულ იაფ ფასამდე.
დარეზინებული წამოსასხამები და პალტოები ბ-ნთ აფიცრებისათვის.
დარეზინებული მატერია სხვადასხვა მიზნისათვის.
რეზინის ღრუბლი.
№ 4. სავარცხლები რქის რეზინისაგან.
ცალობით ვაჭრობა დედამიწაზე საუკეთესო
№ 2. გალოშების „პროვოდნიკისა“
(25—6.—6).

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ამხ. „სორაპანი“-სა, მადათოვის კუნძული № 1, ტელეფ. № 539